N 19
25.11.2025

19-27-4-202511251531

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დ ე კ ა ნ ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში ბაკალავრიატის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად/ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩარიცხული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის ვადების განსზღვრისა და სტუდენტთა შერჩევისთვის საფაკულტეტო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 21 ნოემბრის N382/02-01 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა N1 დანართით დამტკიცებული განაცხადის შევსებული ვარიანტი, პირადობის მოწმობის, საბანკო ანგარიშის ამონაწერის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 21 ნოემბრის N382/02-01 ბრძანების პირველი პუნქტით განსახზღვრული სხვა დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში) უნდა გადმოაგზავნონ ელექტრონულად stiphumanities@tsu.ge მეილზე ა.წ. 25 ნოემბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით.

2. განისაზღვროს 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პროგრამის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში სტუდენტთა ფინანსური წახალისებისათვის კანდიდატთა შერჩევის კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   ა) ზვიად მურადაშვილი - დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში, კომისიის თავმჯდომარე;
   ბ) თინათინ ჩოლოყაშვილი - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი - კომისიის მდივანი;
   გ) სოფიკო ძნელაძე - დეკანის თანაშემწე;
   დ) ეკატერინე ნავროზაშვილი - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი;

ე) ელენე ზურაბიანი - სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში.

3. ბრძანების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განავსება დაევალოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

დარეჯან თვალთვაძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი